კინოინდუსტრიის მიმართულებით მოქმედი კომპანიების მომზადება/გადამზადების პროგრამა და მასში მონაწილეობის წესი

1. ტერმინთა განმარტება

ა) **მეწარმე სუბიექტი** - ამ პროგრამის მიზნებისათვის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც კინოინდუსტრიის სფეროში სულ მცირე ერთი წელი ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას[1];

ბ) **ტრენინგის მონაწილე** - მეწარმე სუბიექტის მიერ ნომინირებული კანდიდატი, რომელიც იღებს მონაწილეობას პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგზე;

გ) **განაცხადი** - ერთი მეწარმე სუბიექტის მიერ პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით სააგენტოში ელექტრონული ფორმით წარდგენილი მიმართვა, რომელიც უნდა მოიცავდეს დანართი N1 განსაზღვრულ ინფორმაციას;

დ) **ტრენინგი** - პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მხარდაჭერით ორგანიზებული ტრენინგი;

ე) **სააგენტო** - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „აწარმოე საქართველოში“;

ვ) **კომისია** - სააგენტოს მიერ დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს პროგრამის ფარგლებში სააგენტოში შემოსულ განაცხად(ებ)ს და იღებს გადაწყვეტილებას მეწარმე სუბიექტის პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით. ამასთან, კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება განსაზღვრულია დანართი N4-ის.

2. მიზანი და აღწერა

1. სააგენტოს ორგანიზებით, კინოინდუსტრიის განვითარების/ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში მოხდება ადგილობრივი კინოინდუსტრიის სფეროში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლება ამ დანართით განსაზღვრულ თემატიკაში მომზადების/გადამზადების გზით.

2. პროგრამის კოორდინაციას ახორციელებს სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის განხორიცელების ხელშეწყობას და მის შესრულების ზედამხედველობას.

---

[1] კინოინდუსტრიის სფეროში ოპერირების დადასტურების მიზნით მეწარმე სუბიექტი ვალდებულია წარმოადგინოს მის მიერ დამზადებული აუდიოვიზუალური პროდუქტი.

3. პროგრამის ფარგლებში მოხდება პროგრამაში მონაწილე პირების მომზადება/გადამზადებას აუდიო ვიზუალური ნაწარმოებების შექმნის სრულ ღირებულების ჯაჭვზე, დაწყებული იდეიდან, დამთავრებული მოგების მიღებამდე. ტრენინგის დეტალური თემატიკა განსაზღვრულია ამ დოკუმენტის დანართ N2-ის შესაბამისად.

3. პროგრამის განხორციელების თარიღი და ეტაპები

1. სააგენტო ახდენს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პროგრამის ფარგლებში საჭირო ეტაპ(ებ)ის განხორციელების უზრუნველყოფასა და ხელშეწყობას.

2. პროგრამა მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

ა) განაცხადების მიღება;
ბ) კომისიის მიერ განაცხადების განხილვა და პროგრამაში მონაწილე კანდიდატების გამოვლენა;
გ) ტრენინგი (workshop);
დ) მონაწილეებისთვის სერტიფიკატების გადაცემა.

3. ტრენინგის შესახებ ინფორმაციას სააგენტო გაავრცელებს ელექტრონული საშუალებებით, კერძოდ, ელექტრონული ფოსტის, სააგენტოს ვებ-გვერდის www.enterprise.gov.ge და სააგენტოს სოციალური ქსელის მეშვეობით. პროგრამის განხორციელების თარიღებია:

განაცხადების მიღება: 2024 წლის 10 ივლისიდან 30 ივლისამდე.
ტრენინგის ჩატარება: 2024 წლის 16-20 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. პროგრამაში მონაწილეობის და მონაწილეთა შერჩევის წესი

პროგრამაში მონაწილეობა

პროგრამაში მონაწილეობისთვის, მეწარმე სუბიექტმა უნდა წარადგინოს განაცხადი ტრენინგზე დამსწრეს მითითებით. მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია წარადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი, რომელშიც მითითებულ უნდა იქნას ტრენინგზე დასასწრებად, მასთან დასაქმებული ერთი კანდიდატი, ხოლო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კინოინდუსტრიის ნაწილის ბენეფიციარის შემთხვევაში, უფლებამოსილი წარადგინოს სამი განაცხადი ანუ სამი კანდიდატი. ამასთან, პროგრამაში მონაწილეობისათვის მეწარმე სუბიექტსა და დასაქმებული პირთან არსებული შრომითი ურთიერთობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე (ცნობა, შრომითი ხელშეკრულება).

შერჩევის წესი

პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადი, კომისიის მიერ შეფასდება ქვევით მოცემული ცხრილის შესაბამისად:

კრიტერიუმი	**მაქსიმალური ქულა**
სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კინოინდუსტრიის ნაწილის ბენეფიციარი	10 ქულა
კინოინდუსტრიის სფეროში საქმიანობს/ოპერირებს სულ მცირე 3 წელი[2]	3 ქულა
საერთაშორისო პროექტებზე მუშაობისას მოპოვებული აქვს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის გრანტი კოპროდუქციის მიმართულებით[3]	3 ქულა
სამოტივაციო წერილი (იხ დანართი N3 ფორმა თანდართული დოკუმენტის სახით)	6 ქულა

განაცხადების შეფასების ერთნაირი შედეგების არსებობის შემთხვევაში, მეწარმე სუბიექტების ტრენინგზე შერჩევა განხორციელდება პრინციპით: „დროში პირველი, უფლებაში პირველი“ (ე. წ. First come, first serve).

5. ბიუჯეტი

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 70 000 ლარს, რომელიც შესაძლებელია დაკორექტირდეს პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები შესაძლოა დამატებით დაფინანსდეს დონორ(ებ)ის მხარდაჭერით.

[2] დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით.
[3] დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციის (მაგ. ცნობით).

დანართი N1

ტრენინგზე მონაწილეობის მსურველი მეწარმე სუბიექტის განცხადება მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას და დოკუმენტაცია:

1. მეწარმე სუბიექტის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;
2. ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
3. ტრენინგზე მონაწილე ნომინირებული კანდიდატი (სახელი/გვარი/პირადი ნომერი/პოზიცია/საკონტაქტო ტელეფონის ნომერი);
4. ნომინირებული კანდიდატის შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა ან/და ხელშეკრულება);
5. მეწარმე სუბიექტის მიერ დამზადებული აუდიოვიზუალური პროდუქტი;
6. არსებობის შემთხვევაში, კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის გრანტის მოპოვების შესახებ ცნობა. [4]
7. სამოტივაციო წერილი (დანართი N4 -ფორმა)

დანართი N2

ტრენინგის თემატიკები

ა) განსხვავება სტუდიებსა და კინოინდუსტრიის დამოუკიდებელ კომპანიებს შორის

- როგორი სამუშაო სისტემა/პროცესები აქვთ ჰოლივუდის უმსხვილეს სტუდიებს
- როგორი სამუშაო სისტემა/პროცესები აქვთ ჰოლივუდის უმსხვილეს დამოუკიდებელ კომპანიებს
- როგორი კომბინაციით უნდა მოახდინონ პროდუსერებმა დისტრიბუცია სტუდიებსა და დამოუკიდებენ ლომპანიებში, რათა მოახდინონ სადისტრიბუციო შემოსავლების მაქსიმიზაცია

ბ) აუდიოვიზუალური ინდუსტრიის მასშტაბი თანამედროვეობაში

- როგორ ზეგავლენას ახდეს არსებული ცვლილებები თანამედროვე პროდუსერებზე
- რა შესაძლებლობები არსებობს დღეს დამოუკიდებელი კონტენტის შემქმნელებისთვის
- რა ტიპის პროექტებია მთავარი გაყიდვადი დისტრიბუტორების და სხვა და სხვა ნეთწორქებითვის

[4] დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციის (მაგ. ცნობით).

გ) ფილმებისა და სატელევიზიო კონტენტის დისტრიბუცია

- რა სადისტრიბუციო არხებია დამოუკუდებელი კინომოპანიების ფილმებისთვის
- როგორ ხდება დამოუკიდებელი კინომონპანიების სერიალების დისტრიბუცია
- რა ტიპის სადისტრიბუციო შეთანხმებები და ხელსეკრულებებია დღეს პრაქტიკაში დანერგილი

დ) ბიუჯეტირება და ფინანსები

- როგორ უნდა შევქმნათ აღქმადი ხარჯთაღრიცხვა ფილმებისთვის და სერიალებისთვის
- როგორ შევკვეცოთ ბიუჯეტი და რა ტიპის ხარჯების გაუქმებაა შესაძლებელი
- დაფინანსების რა წყაროების არსებობს და როგორ შეიძლება მათი გამოყენება მაქსიმალური მოგების მისაღებად

ე) როგორ შევქნმათ გაყიდვადი პროექტი (Green-light Project)

- როგორ წარვადგინოთ ბიზნეს გეგმა/ფიჩი რომ მივყიდოთ პროექტი ინვესტორს და დისტრიბუტორს
- რა რისკები აქვთ ინვესტორებს და პროდუსრებს და როგორ უნდა მოხდეს მათი წინასწარ განსაზღვრა
- ინვესტორებთან ურთიერთობის საკანონდებლო ბაზა

ვ) ტელესერიალების პროდუსინგი, დისტრიბუცია და დაფინანსების გზები

- როგორ იქმნება ტელესერიალების სკრიპტი
- როგორ წარვადგინოთ ტელესერიალების იდეა დაფინანსების მოსაპოვებლად
- რა მნიშვნელოვანი საკითხები უნდა ვიცოდეთ ტელესერიალების პროდუსინგისთვის
- როგორ და რა გზებით ხდება ტელესერიალების დისტრიბუცია

<u>დანართი N3</u>

კინოინდუსტრიის მიმართულებით მოქმედი კომპანიების მომზადება/გადამზადების პროგრამის ფარგლებში წარმოსადგენი სამოტივაციო წერილი

1. გთხოვთ, მიუთითეთ რატომ გაქვთ აღნიშნულ გადამზადების პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილი?

2. გთხოვთ, შეგვიჯამეთ თქვენი გამოცდილება, ასევე პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც თქვენი აზრით მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობისთვის?
3. გთხოვთ, გაგვიზიარეთ თქვენი ხედვა, რა მიმართულებით გამოიყენებთ აღიშნულ პროგრამაში მიღებულ გამოცდილებას თქვენს სამომავლო საქმიანობაში?

<u>დანართი N4</u>

განაცხადის განმხილველი კომისიის შემადგენლობა და მისი საქმიანობის წესი

მუხლი 1. კომისიის შემადგენლობა:

პროგრამის ფარგლებში შემოსული განაცხადების განმხილველი კომისიის შემადგენლობაშია სააგენტოს სამი თანამშრომელი, კერძოდ:

1. **ლაშა ბოსტაშვილი** - სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
2. **თათია ბიძინაშვილი** - სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის შემოქმედებითი მეწარმეობის განვითარების მენეჯერი;

3. **თეონა ბაბუნაშვილი** - სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;
ნიკა მაისურაძე

მუხლი 2. ზოგადი დებულება

1. ეს წესი შემუშავებულია პროგრამის ფარგლებში და ადგენს განაცხადის განმხილველი კომისიის უფლებამოსილებას.
2. თავის საქმიანობის განხორციელებისას კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. კომისიის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ წესით.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე/ელექტრონულ სხდომაზე.
2. კომისიის სხდომის ფორმატს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე (გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას სხდომაზე ან ელექტრონულ სხდომაზე ან გადაწყვეტილების მისაღებად არ გახდეს საჭირო სხდომის გამართვა, რის თაობაზეც აღნიშნული იქნება შესაბამის ოქმში).

3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას კომისიის თავმჯდომარის დავალებით, ახორციელებს კომისიის ერთ-ერთი წევრი.
4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს დღის წესრიგი.
6. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.
7. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს კომისიის თავმჯდომარე.
8. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება ოქმის სახით. ოქმს ხელს აწერს კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი, კომისიის სხდომის ოქმს აფორმებს კომისიის სხდომის მდივანი.
9. კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მის საქმიანობასთან დაკავშირებით იღებს სხვა გადაწყვეტილებებს.

მუხლი 3. კომისიის უფლებამოსილება:

1. განიხილოს პროგრამის ფარგლებში მეწარმე სუბიექტის მხრიდან წარდგენილი განაცხადები და თანდართული დოკუმენტები.
2. განახორციელოს პროგრამის ფარგლებში მეწარმე სუბიექტის მხრიდან წარდგენილი განაცხადების და თანდართული დოკუმენტების შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.